



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დევდარიანი თამაზ ლევანის ძე



დევდარიანი თამაზ ლევანის ძე, (17. VI. 1937, თბილისი, – 27. VI. 1989, იქვე), მოქანდაკე. საქართვე. დამს. მხატვარი (1979).

დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (1961, პედაგოგები – ს. კაკაბაძე, კ. მერაბიშვილი) და თბილ. სახელმწ. კონსერვატორია (1966). 1961-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში.

თ. დ ე ვ დ ა რ ი ა ნ ი
ქანდაკება „მამა“.
ტონირებული თაბაშირი
1980 ტრეტიაკოვის
გალერეა მოსკოვი

1978–86 იყო თბილ. ქანდაკების კომბინატის მთ. მხატვარი. მნიშვნელოვანი ნამუშევრები: „ახალგაზრდა მეცნიერი“ (1961), „ქალიშვილის პორტრეტი“ (1962), „ძმათა სასაფლაოზე“ (1964; სამივე საქართველოს ეროვნ. გალერეა, თბილისი), „კოლმეურნე“ (1976), „მამა“ (1980;

ორივე ტრეტიაკოვის გალერეა, მოსკოვი), „წერილი ფრონტიდან“ (1986), „ალპინისტი“ (1987; ორივე სურათების გალერეა, მოსკოვი);

არის ვეფხისტყაოსნისადმი მიძღვნილი სერიის ავტორი (1966–67, ჭედურობა) და სხვ. მხატვრულად გააფორმა ზ. ფალიაშვილის სახლ-მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია (1962). შექმნა ქართვ. მუსიკოსთა ბარელიეფები.

1962-88 აქტიურად მონაწილეობდა საზღვარგარეთის ქვეყნებში მონყობილ სამხატვრო გამოფენებში.
